ოქმი:**ო02.37221661**
თარიღი:**15/06/2022**

ოქმი № 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 14 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. მახარაძე, ნ. სარჯველაძე, თ. ნიკოლაშვილი, გ. შილაკაძე, ბ. კილაძე, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ნ. ურუშაძე, გ. სირაძე, ვლ. ხავთასი, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“-ს (ს/კ.437372745) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

2. გენდერული ბიუჯეტირების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“-ს (ს/კ.437372745) ლიკვიდაციის მიზანშეწონილობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ „- აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას განსაზღვრული აქვს ა(ა). ი.პ-ის შერწყმა შ.პ.ს-მუნიციპალურ ტრანსპორტთან, რაც გამართლებულია. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული გენდერული ასპექტები, ისაუბრა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში მისი

გათვალისწინების აუცილებლობაზე, კომისიის წვრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2.N 2 საკითხი მიღებულ იქმას ცნობად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი